ლოგოსი. წელიწდეული ელინოლოგიასა და ლათინისტიკაში 6, 2020

მარიკა ჭითანავა
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
საქართველო

წმ. მარკოზ მახარებლის პირველშეწირულის ლიტურგია

საკვანძო სიტყვები: მარკოზ მახარებელი, პირველშეწირულის ლიტურგია

წმიდა მოციქულისა და მახარებლის მარკოზის პირველშეწირულის ლიტურგია აღმოსავლეთის ეკლესიის ერთ-ერთი უძველესი ტრადიციული მსახურებაა, რომელიც ალექსანდრიაში დიდმარხვის პერიოდში სრულდებოდა.

ეკლესია პირველშეწირულის ლიტურგიას აღასრულებს ქრისტიანობის გავრცელების პირველივე პერიოდიდან. იგი დიდმარხვის თანადროულია, და შესაბამისად, მისი წარმოშობა თავად უფლის მოწაფეებს მიეწერება. აღსანიშნავია, რომ იერუსალიმის ეკლესიაში ღმრთისმსახურება ქრისტეს ხორციელი ძმის, წმ. იაკობ მოციქულის მიერაა დაწესებული, ანტიოქიაში – მოციქულთა თავის, წმ. პეტრე მოციქულის მიერ, ხოლო ეგვიპტეში წმინდა ორმოცეულის ლიტურგია ცნობილი იყო მარკოზ მახარებლის ავტორობით.[1] ფაქტია, რომ პირველშეწირულის მსახურება დაწესდა მოციქულთა დადგენილებით,

[1] Смирнов-Платонов, Г., Алымов, В., Баумштарк, А., 2014.

უშუალოდ უფალ იესო ქრისტეს სწავლების მიხედვით. რაც შეეხება მის სტრუქტურასა და აღსრულების წესის ჩვენამდე მოღწევას, საკუთარ შრომებში მას ახსენებენ ქრიატიანული ეკლესიის ისეთი ბურჯები, როგორებიცაა: წმ. ათანასე დიდი, ბასილი დიდი, გერმანე კონსტანტინოპოლელი და გრიგოლ დიალოღოსი. ეს უკანასკნელი საფუძვლიანად გაეცნო აღმოსავლურ საღმრთისმსახურო ტრადიციებს, განავრცო და მიუსადაგა იგი დასავლურს და მათი საბოლოო შეჯერებით წარმოადგინა სააღდგომო მარხვის ლიტურგია, რომელიც დღემდე აღევლინება მართლმადიდებლურ ტაძრებში.[2]

ხაზგასასმელია, რომ პირველშეწირულის ლიტურგია არის არა არსობრივად "ლიტურგია", არამედ ზიარების განსაკუთრებული წესი, ხოლო სხვა ყველა ქმედება – გალობა, ლოცვები, ა.შ., მხოლოდ მომზადებაა ზიარებისთვის. იგი შვიდ საიდუმლოთაგან ერთ-ერთია, რომელიც იესოს გახსენებისა და მადლიერების პარალელურად პიროვნებისთვის სულიერი და ხორციელი კურნების მომნიჭებელია. ზიარების მისტერია თავად განკაცებულმა ძე-ღმერთმა დაადგინა საიდუმლო სერობის დროს, რომლის მიხედვითაც ქრისტეს მიერ განტეხილი პური და ღვინო საკუთრივ მაცხოვრის ხორცისა და სისხლის გაღებაა მორწმუნეთათვის ცოდვათა მოსატევებლად. ამას მოწმობს როგორც ოთხივე მახარებელი (მთ. 2:26-28; მრკ. 14:22-24; ლკ. 22:19-20; ინ. 13:1-27), ასევე წმ. პავლე მოციქული კორინთელთა მიმართ პირველ ეპისტოლეში (1 კორ. 11:23-25).

ცნობილია, რომ პირველ საუკუნეებში ქრისტიანები განაგრძობდნენ იერუსალიმის ტაძარსა და სინაგოგაში სიარულს,

---

[2] О литургии Преждеосвещенных Даров, http://sabor.by/o-liturgii-prezhdeosvyashhennyh- darov

რათა მონაწილეობა მიეღოთ თავიანთი ერთობის განსაკუთრებულ აქტში – ევქარისტიაში, რომელიც, როგორც ჩანს, თავდაპირველად იმავე ფორმით სრულდებოდა, როგორც საიდუმლო სერობა. ამ დროიდან არც თუ დიდი ხნის შემდეგ იესოს გახსენება და საერთო ტრაპეზი ერთმანეთისაგან გაიმიჯნა. პირველი საუკუნის ბოლოსათვის ქრისტეს მოგონება უკვე მხოლოდ პურით და ღვინით ხდებოდა მრევლის სიდიდის გამო. მსახურება გამოირჩეოდა სიმოკლით. ის არ იყო ხანგრძლივი, თუმცა მოგვიანებით მას დაერთო საღმრთო წერილის კითხვა, ქადაგება და ლოცვები.[3] მას შემდეგ, რაც მორწმუნენი გამოდევნეს ძველაღთქმისეული სინაგოგებიდან, მოხდა ქრისტიანული ევქარისტიული კანონის პირველი რადიკალური ტრანსფორმაცია. ტრაპეზი ისევ იყო მისი მთავარი შემადგენელი ნაწილი, მაგრამ ეს უკვე აღარ იყო ჩვეულებრივი პურობა.

აღსანიშნავია, რომ თავდაპირველად ევქარისტია იყო უბრალო და მარტივი რიტუალი ღრმა მნიშვნელობით, რომლის გაგებაც შეეძლოთ მხოლოდ მათ, ვინც ნაზიარები იყო ამ საიდუმლოს. მისი არსი და მნიშვნელობა ყველაზე მეტად გამოიხატებოდა პურსა და ღვინოზე წარმოსათქმელ სამადლობელ ლოცვაში, რომელიც ჩამოყალიბდა ებრაული „ბერაქის“ ანუ კურთხევის იმ ლოცვის მიხედვით, რომელიც იესომ წარმოთქვა საიდუმლო სერობაზე, რითაც მადლი შესწირა ღმერთს სამყაროს შექმნისა და კაცობრიობის გამოხსნისათვის. მართა-

[3] ალექსანდრიის ეკლესიაში დიდმარხვის პერიოდში კითხულობდნენ წმიდა წერილსა და წმიდა მამათა გამონათქვამებს, სოკრატე სქოლასტიკოსის მოწმობით, რაც საშუალებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ შესაქმის წიგნის შესახებ საუბრები ადრექრისტიანული ეპოქის მამების მიერ იქნა დადგენილი ეკლესიაში.

ლია, ჩვენთვის არაა ცნობილი ამ ლოცვის ზუსტი შინაარსი, მაგრამ თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეკლესია ყოველთვის უფრო მეტს ხედავდა ევქარისტიაში, ვიდრე ეს შეიძლება ერთ ლოცვას გამოეხატა.[4]

ამ პასაჟს ეხმიანება ეკლესიის პირველი ეტაპის მწუხრის მსახურება – სამადლობელი, სახელით to lucnikon, რომელსაც უკვე ჰქონდა განსაზღვრული სახე. მოციქულთა დადგენილებების მიხედვით, ქრისტიანები ყოველ საღამოს იკრიბებოდნენ, გალობდნენ ფსალმუნებს, განსაკუთრებით 140-ს, რომლის დასრულების შემდეგ დიაკონი კვერექსს წარმოთქვამდა მართალთა და ცოდვილთა შესანდობელად, ხოლო მღვდელი ლოცულობდა მსოფლიო ერთობისათვის. საგალობლებიდან ყველაზე ცნობილი იყო „ნათელი მხიარული“, რომელსაც წმ. ბასილი დიდი უწოდებს ადრეულს: „მამანი ჩვენნი კეთილგონივრულად თვლიდნენ, რომ მადლი საღამოს ნათელისა დუმილით კი არ უნდა მიეღოთ, არამედ მისი გამოჩენისთანავე სამადლობელი უნდა აღევლინათ. ჩვენ იმის თქმაც კი არ შეგვიძლია, ვინ იყო მამა ამ სამადლობელი სიტყვებისა ნათლის მოვლენისათვის. ყოველ შემთხვევაში ხალხი ძველ სიტყვებს წარმოთქვამს და ისინი, რომელნიც ამბობენ: ვაქებთ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა ღმერთსა“, – უსჯულოებად არავის არასოდეს ჩაუთვლია“ (წმ. ბასილი დიდი, 29, საქ. ეკლ. კალ. 2014, გვ. 219).

ევქარისტიული კანონის ლოცვების შესახებ ასევე ვხვდებით ცნობას მოციქულთა მოძღვრებაში „დიდაქე“, სადაც ციტირებულია ორი სამადლობელი და ზიარების შემდგომი ლოცვა.

---

[4] ჰიუ 2004.

საყურადღებოა, რომ ეკლესიის საწყის ეტაპზე შეწირული ძღვენი ინახებოდა მისი შემდგომი გამოყენებისა და საჭიროებისათვის. როდესაც, საპატიო მიზეზისა თუ გარემოების გამო ქრისტიანებს არ შეეძლოთ ლიტურგიაზე დასწრება, ასეთ შემთხვევაში ისინი საკუთარ სახლებში იღებდნენ წმინდა ზიარებას, ამას მოწმობს წმ. იუსტინე მარტვილიც, რომელიც ბრძანებს, რომ ალექსანდრიასა და ეგვიპტეში ყოველი მონათლული ერისკაცი დიდწილად იღებს ზიარებას შინ, როცა მოისურვებს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პირველშეწირულის ლიტურგია ცალსახად უკავშირდება დიდმარხვის პერიოდს, რომლის სიძველე თავისთავად მეტყველებს ღმრთისმსახურების პირველსაუკუნებრივ წარმოშობაზე. ლაოდიკიის კრების 49-ე კანონისა და სოკრატე სქოლასტიკოსის დამოწმებით ალექსანდრიის ეკლესიის შესახებ აღნიშნულია, რომ ხსენებულ არეალში პირველშეწირულის ლიტურგია კვირაში ორჯერ აღევლინებოდა (Πηδαλιόν, გვ. 438),[5] თუმცა არსებობს მოწმობა, რომლის მიხედვითაც აღნიშნული მსახურება სრულდებოდა სულ ოთხჯერ წელიწადში: როგორც ყველიერის კვირის ოთხშაბათსა და პარასკევს, ასევე წითელ პარასკევს და ჯვართამაღლების დღესასწაულზე, მიუხედავად იმისა, რომ საუკუნეების განმავლობაში ვიდრე დღემდე ეს უკანასკნელი მხოლოდ წმ. იოანე ოქროპირის ლიტურგიით იმსახურება.[6]

ზემოთ მოხმობილი პირველი ორი ცნობის საფუძვლიანად შესწავლა საშუალებას იძლევა ვამტკიცოთ, რომ ალექსანდრიაში ღმრთისმსახურება აღესრულებოდა ბერძნულ ენაზე. ეს იმ პერიოდს განეკუთვნება, როდესაც ბერძნულ ენას ჯერ კიდევ

[5] სოკრატე სქოლასტიკოსი 2012.
[6] Melikides 2014.

ფართო გამოყენება ჰქონდა ეგვიპტეში.[7] სწორედ მისი საშუალებით შეაღწია ქრისტიანულმა კულტურამ ეგვიპტეში, რომელსაც თან დახვდა ადგილობრივი ელინისტური ტრადიცია. ორივეს შერწყმამ კი განაპირობა ლოკალური ღმრთისმსახურების ფორმაცია, რაც თვალნათლივ გამოვლინდა წმ. პეტრე მოციქულის მოწაფის მიერ დაარსებულ როგორც სრულ, ასევე პირველშეწირულის ლიტურგიაში.[8]

რაც შეეხება უშუალოდ წმ. მარკოზ მახარებლის დიდმარხვის მსახურებას, მის შესახებ ინფორმაციას ორი წერილობითი ძეგლი გვაწვდის: ა) უდიდესი საეკლესიო მოღვაწის, კესარიაკაპადოკიის მღვდელმთავრის წმ. ბასილი დიდის მოკლე ცნობა ბერძნულ-ალექსანდრიული წირვის სიძველის შესახებ[9] და ბ) სინას მთის წმ. ეკატერინეს სახელობის მონასტრის კოლექციაში დაცულ XIII საუკუნის არაბული ხელნაწერი (Sin. 237).

ხსენებული მანუსკრიპტის ზომები 16x11.5 სმ-ია, მათგან 13x10 სმ კი დამწერლობითაა შესრულებული. ჩვენამდე მხოლოდ მისმა სამმა ფურცელმა მოაღწია, რომელიც საფუძვლად ედება მელქიტების მიერ დადგენილ წმ. მარკოზის პირველშეწირულ ლიტურგიას.[10] თავად ხელნაწერის შესახებ ვიგებთ უტაჰის უნივერსიტეტის არაბი პროფესორის აზიზ ატიას დამოწმებით, რომელიც მისი აღწერისას გამოყოფს მანუსკრიპტის მარტივად შესრულების მანერას და სათაურებისა და

---

7 შმემანი 2014.

8 Керн 2006.

9 Смирнов-Платонов

10 მელკიტები იყვნენ აღმოსავლეთის, კერძოდ სირიული ეკლესიის ერთ-ერთი განშტოების წარმომადგენლები, რომლებიც ქალკედონის IV მსოფლიო კრების შემდგომ გამოეყვნენ ერთიან ეკლესიას. ისინი ძირითადად ბერძნულ და არამეულ ენებზე აღასრულებდნენ ღმრთისმსახურებას, თუმცა მოგვიანებით მათ შემოიღეს არაბულიც (Dick, I., 2004).

საზედაო ასოების გამოსაკვეთად წითელი მელნის გამოყენებას.[11] ხსენებული პიროვნებისვე კალამს ეკუთვნის, ასევე, სინას მთის აღნიშნული კოდექსის დასათაურება „ლიტურგიით“, რომლის ტექსტი ლოცვების, ტროპრების, ფსალმუნების, ღმრთისმშობლისებისა და შეწირვის პროცესის მომცველია, ხოლო თავად არაბი პროფესორი წმ. მარკოზის წირვის ინტერპრეტაციას გვთავაზობს.

აქვე უნდა მოვიხმოთ სათაურში გავრცობილი აზიზ ატიასეული მოწმობა წმ. მახარებლის ლიტურგიის შესახებ: „ჩვენ ვიწყებთ ჩვენი ღმერთის, უფლისა და მხსნელის იესო ქრისტეს შეწევნით წერას მარკოზის პირველშეწირულის განმარტებისა“, რაც, როგორც ზემოთ აღინიშნა, წითელი ფერითაა შესრულებული. ეს არაბული სათაური საშუალებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ტექსტი ბერძნულიდანაა თარგმნილი.

რაც შეეხება წმ. ბასილი დიდის დამოწმებას დიდმარხვის ეგვიპტური ლიტურგიის, ამის თვალსაჩინო გამოვლინებაა თავად წმ. მღვდელმთავრის კოპტური წირვა, კერძოდ, თავმოდრეკის ორ ლოცვათაგან უკანასკნელი, რომელიც საუფლო ლოცვას მოსდევს და სათაურდება შემდეგნაირად: „სხვა ლოცვა ეგვიპტელ ქრისტიანთა მარკოზ მოციქულის პირველშეწირულის ლიტურგიაში წმინდა ძღვენის ზიარებისას“, რაც, თავის მხრივ, ადასტურებს წმ. მარკოზის პირველშეწირულის მსახურების არქაულობას.[12]

თავად მსახურება შედგება მთელი რიგი საღმრთისმსახურო ციკლისაგან, რომელშიც შედის: სულიწმიდის მოხმობა, საკ-

---

[11] „ძველი ხელნაწერი პატარა უბრალო ხელითაა შესრულებული, სათაურები და დასაწყისები კი - წითელი მელნით“ (Aziz S. Atiya, 1970, 446).

[12] Mastrantonis; Melikides

მევლის, ცისკრის, შესვლის ლოცვები, საკითხავები ძველ-აღთქმისეული ტექსტებიდან, ლიტანია, სამი ლოცვა მშვიდობისათვის, იერარქთათვისა და მრევლისთვის, დიდი შესვლა, ქერუბიმების საგალობლის დროს მღვდლის ლოცვა, „მამაო ჩვენო“, საუფლო ლოცვის შემდგომი და თავმოდრეკის ლოცვები, ამაღლება, ზიარება, ზიარების შემდგომ სამადლობელი, ძღვნის გადაბრძანება და განტევება, რაც ადასტურებს არაბული ხელნაწერის ორიგინალურობას ალექსანდრიული მსახურების შესახებ.[13]

ჩვენს ხელთ არსებული არაბულ და ინგლისურ ენებზე ვენის უნივერსიტეტის კათოლოკური თეოლოგიის კათედრის პროფესორის, დოქტორ მიქაელ რამეზის მიერ გამოცემული ლოცვების გაცნობის საფუძველზე ადვილად შევნიშნავთ მთელ რიგ მსგავსებებს წმ. მარკოზ მოციქულისა და წმ. გრიგოლ დიოლოღოსის პირველშეწირულის ლიტურგიებს შორის, რომელიც, როგორც ზემოთ არაერთგზის აღვნიშნეთ, სააღდგომო მარხვის განსაკუთრებული მსახურებაა ევქარისტიის მისაღებად.

პირველ ყოვლისა, ყურადღებას იქცევს თავად მახარებლის ლიტურგიის თანმიმდევრობა და

მიმდინარეობა, რომელიც ზუსტად მიუყვება რომის პაპის მიერ ჩამოყალიბებულ მსახურებას.

თუ არ ჩავთვლით იმ დეტალებს, რაც წმ. გრიგოლის ორმოცეულის ლიტურგიის აღვლენისას გვხვდება და რაც აშკარად შემდგომდროინდელ დამატებას უნდა მიეკუთვნებოდეს (მაგ. 103-ე ფსალმუნი, მშვიდობიანი და მცირე კვერექსები, მე-18 კანონი, კათაკმეველთა და ნათლადგანმზადებულთა კვერექსი, თხოვნითი კვერექსი და სხვ.).

[13] Ramez 2015.

როგორც ალექსანდრიულ, ისე თანამედროვე დიდმარხვის მსახურებაში შენარჩუნებულია მწუხრის საგალობლები: „აწ ძალნი ცათანი“, „სარწმუნოებით და სიყვარულით მოვედით“, საულიერო პირთა ზიარებისას აღვლენილი „ერთ-არს წმიდა, ერთ-არს უფალი იესო ქრისტე“, საუფლო ლოცვა „მამაო ჩვენო“, ბარძიმის გამობრძანების საგალობელი „კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისათა“, ზიარების შემდგომ „აცხოვნე, უფალო ერი შენი“.

ორივე პირველშეწირულის ლიტურგიაში მღვდლის მიერ წარმოსათქმელი საიდუმლო ლოცვების შინაარსიც მსგავსია, იმ მცირე სახე-სხვაობებით, რომელიც გვხვდება წმ. პეტრეს მოწაფის წირვაში, რაც გამოწვეულია წმინდა ადგილობრივი ტრადიციებით და რაც თვალნათლივ ამტკიცებს მათში ორ ადგილას (ლიტანია, განტევება) წმ. მარკოზის სახელის მოხსენებით იმას, რომ აღნიშნული ლიტურგია უშუალოდ ევანგელისტის მიერაა შედგენილი და დაწესებული ეგვიპტის ეკლესიაში დიდმარხვის დროს. შენარჩუნებულია მღვდლის მიერ ერის კურთხევის, თავმოდრეკის, ასამაღლებლების ფორმულირება, ასევე ღმრთისმსახურების დროს სასულიერო პირთა მიმოსვლა როგორც საკურთხეველში, ასევე მის გარეთ.

რაც შეეხება ტექსტს, არაბულ ხელნაწერში შეიმჩნევა რამდენიმე ადგილას, განსაკუთრებით საიდუმლო ლოცვებში სიტყვების გამოტოვება, რაც, სავარაუდოდ განპირობებულია მცირედი დაზიანებებით. შესაბამის ინგლისურ თარგმანში დოქტორი რამეზი ასეთ შემთხვევებს თვალსაჩინოებისთვის ფრჩხილებითა და მასში ჩაწერილი მრავალწერტილით აღნიშნავს (...).

ჩვენი დაკვირვებებისა და, საერთოდ, წმ. მოციქულისა და მახარებლის მარკოზის პირველშეწირული ლიტურგიის გაცნობისა და შესწავლის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აღნიშნული ღმრთისმსახურება დიდმარხვის თანადროულია და მისი დაარსება რეალურად უკავშირდება ქრისტეს ევანგელისტის სახელს. ის უნდა აღვლენილიყო ბერძნულ ენაზე ორი ფაქტორის გამო: ა) ეგვიპტეში ღრმად იყო ფესვგადგმული ელინისტური კულტურა და ბ) მარკოზ მოციქულმა როგორც სრული, ისე პირველშეწირული ლიტურგია ალექსანდრიაში მცხოვრებ ბერძნულენოვან მოსახლეობას სწორედ ამ ენაზე შეუდგინა.

მოციქულთა მიერ დაარსებული ყველა ლიტურგია, უფრო ზუსტად ევქარისტიული კანონი, ანუ სამადლობელი დასაბამს თავად ყოვლადწმიდა ტრიადის განკაცებული მეორე ჰიპოსტასის მიერ დადგენილ საიდუმლო სერობიდან იღებს, რომლის დროსაც იესომ აიღო პური და ღვინო, შემოქმედს მადლი შესწირა, აკურთხა და მოწაფეებს გაუნაწილა. ცნობილია, რომ უფლის მოსახსენებლად თავდაპირველად მოზრდილ კარგად განათებულ ოთახში, იმართებოდა დიდი ტრაპეზი, ე. წ. აღაპი, ანუ სიყვარულის სუფრა, თუმცა მორწმუნეთა დღითიდღე სიმრავლის გამო სამადლობელი რიტუალი და აღაპი ერთმანეთისგან გამოცალკევდა. ამის შესახებ ეკლესიის პირველივე საუკუნეებიდან ვიგებთ წმ. პავლე მოციქულის ეპისტოლეებში, „დიდაქეში“, ტერტულიანეს, წმ. იუსტინე ფილოსოფოსის, ევსები კესარიელის თუ სხვათა ჩანაწერებში.

უშუალოდ ღმრთისმსახურება შეიცავდა სამადლობელ ლოცვებს, ძველაღთქმისეულ საკითხავებს და მის განმარტებებს, ფსალმუნებს, საგალობლებს, ქადაგებებს.

თავად დიდმარხვის ორმოცეულის დადგენა იესოს მიერ კაცობრიობის გამოსახსნელი მსხვერპლის გაღებას, მისი ჯვარზე ვნებების მოსაგონებლად დადგინდა, რასაც ამოწმებს ლაოდიკიის კრების 49-ე კანონი და ეკლესიის ისტორიკოსი სოკრატე სქოლასტიკოსი.

რაც შეეხება წმ. მახარებლის პირველშეწირულ ლიტურგიას, მის შესახებ ცნობებს გვაწვდის წმ. ბასილი დიდი და სინას მთის კოლექციის არაბული 237-ე ხელნაწერი, სადაც აზიზ ასიას მინაწერებით დასტურდება როგორც ხელნაწერის არსებობა და მისი მარკოზ მოციქულის ავტორობა, ასევე თავად ტექსტის შემადგენლობაში ევანგელისტის ორგზის ხსენება.

ვფიქრობთ, რომ წარმოდგენილი კვლევა და მარკოზის პირველშეწირულის წირვის ქართულად თარგმნა დაეხმარება ცოდნის გაღრმავებაში როგორც ლიტურგიკითა და მისი ისტორიით, განსაკუთრებით მოციქულთა მიერ დაარსებული და დადგენილი მსახურებით, ასევე ეგვიპტის და კერძოდ ალექსანდრიის ადგილობრივი ტრადიციებით დაინტერესებულ პირებს.

ბიბლიოგრაფია:

Алымов, В. Лекции по Исторической Литурике, http://www.holytrinitymission.org/index.php

Aziz S. Atiya, Al-Faharis al-Tahliliyah le-Makhtutat Tur Sina al-Arabiyah, Alexsandria, 1970.

Баумштарк, А. 2014. *Сравнительная Литургика*. Омск.

ახალი აღთქუმაჲ უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი. 2015. თბილისი: ალილო.

Dick, I. 2004. *Melkites: Greek Orthodox and Greek Catholics of the Patriarchate of Antioch, Alexandria and Jerusalem*. Boston, Sophia Press.

დიდაქე, მოძღვრება უფლისა თორმეტი მოციქულის მიერ წარმართთა მიმართ. http://www.orthodoxy.ge/tserili/didaqe.htm

ჰიუ, უ. 2004. მართლმადიდებლური ლიტურგიკა, თბილისი: არტანუჯი.

Hook, W.F. 1880. *Church Dictionary*. 604-605. London.

http://issuesetc.org/wp-content/uploads/2011/08/Liturgical-Glossary.pdf

Керн, К. 2006. *Архимандрит, Евхаристия*. Москва.

Литургия Преждеосвещенных Даров. http://www.pravenc.ru/text/11003.html

Mastrantonis, G. *The Divine Liturgy*. www.goarch.org;

Melikides, P. *On the origins of the Liturgy of the Presanctified Gifts*. http://pemptousia.com/2014/04/the-history-and-rite-of-the-liturgy-of-the-presanctified-gifts/

Νικοδήμος Μοναχος, Πηδαλιόν, 1864, σ. 438-439;

О литургии Преждеосвещенных Даров. http://sabor.by/o-liturgii-prezhdeosvyashhennyh-darov

Происхождение Литургии Преждеосвещенных Даров. http://days.pravoslavie.ru/rubrics/canon329.htm?id=329

Ramez, M. 2015. *The Presanctified Liturgy of the Apostle Mark in Sinai Arabic 237*: Text and Commentary, Bollettino della Badia Greca di Grotta Ferrata, Terza Serie, vol. 12, 163-215.

Renaudot. 1716. *Liturgiarum Orientalium Collectio*. T.1. 79. Parisiis.

სამღვდელოჲ კონდაკი. 2006. თბილისი.

Смирнов-Платонов, Г. Протоиерей, О литургии Преждеосвещенных

Даров.https://azbyka.ru/otechnik/Pravoslavnoe_Bogosluzhenie/o-liturgii-prezhdeosvjashennyh-darov;

სოკრატე სქოლასტიკოსი. 2012. *საეკლესიო ისტორია.* თბილისი: ახალი ივირონი.

Thibaut, J.B. 1920. *Origine de la Messe des Presanctifies, Échos d'Orient*, tome 19, n°117, 36-48.

The History and Rite of the Liturgy of the Presanctified Gifts. http://pemptousia.com/2014/04/the-history-and-rite-of-the-liturgy-of-the-presanctified-gifts

წმ. ბასილი დიდი. 2013. „სულიწმიდის შესახებ“. *საქართველოს ეკლესიის კალენდარი 2014.* თბილისი: საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა.

შმემანი, ალ. პროტოპრესვიტერი. 2014. *ლიტურგია და ღმრთისმეტყველება (შრომები, სტატიები).* თბილისი.

Marika Chitanava

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

Sainr Mark the Evangelist's Liturgy of Presanctified

Key Words: Mark the Evangelist, Liturgy of Presanctified

Saint apostle and evangelist Mark's Liturgy of Presanctified Gifts is one of the ancient tradicional service of Eastern rite, which was very popular in Egypt during the Eastern fasting. Unfortunately a complete liturgical text has not been published or made known. Such text appears in 3 folios from the 13th-century codes of Sinai ar. 237 in its Melkite recension, which has mentioned professor Aziz Atiya in his work published in Alexandria, 1970 and contains the Prayers, Troparias, Psalters, Theotokias and Anaforas. According his description, this manuscript has the dimensions 16 x 11.5 cm. its 13 x 10 cm is writing part, among them the titles and headers are in red ink.

Another information about Mark's liturgy of the Presanctified Gifts is in the Coptic liturgy of st. Basil the Great, especially one of the prayers of inclination, where is fixed the name of the evangelist.

This fasting service consists of these parts: Epiclesis, Prayer of Incense, the First Prayer of the Morning, Prayer of the Entrance, Old testament Reading, Synapte, Three Prayers for Peace, Hierarchs and Assemblies, the Great Entrance, Prayer of the Cherubic Hymn, Prayer of the Lord's Prayer and Our Father, Prayer after the Lord's Prayer, Prayer of Inclination, Elevation, Communion, Thanksgiving after Communion, Prayer in the Prothesis and Dismissal.

St. Mark's liturgy of the Presanctified Gifts is very important service, which helps to realize first Christian fasting worship in Egypt.